# საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში სამსახური ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი. ასევე, მიუთითოს სტრუქტურული დანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციულ აქტზე პირის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი უნდა აკმაყოფილებდეს საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.